კომუნისტი

1980 წელი ოთხშაბათი 9 იანვარი № 7 (17652) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“ საამწეო ელექტროძრავები კარგად არის ცნობილი ჩვენში. მისი პროდუქცია უცხოეთის 30 ქვეყანაშიც იგზავნება. წლეულს ქარხანამ უნდა გამოუშვას 40.000 ძრავა, საიდანაც 1.300 განკუთვნილია საექსპორტოდ.

სურათზე: № 2 მექანიკური საამქროს ხარატები ა. ლუკაშვილი (მარცხნივ) და ა. ტაბაკოვი, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულონ პირადი ხუთწლიანი გეგმა.

ს. კილაძის ფოტო.

ავამაღლოთ მოთხოვნა და პასუხისმგებლობა

ეაუ ასე, სტარტი აიღო 1980 წელმა! დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს გადაწყვეტენ საბჭოთა განმენები წელს. იგი არა მარტო ამთავრებს მეათე ხუთწლედს, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე, არამედ არის ბაზაც, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება. სწორედ ამ პოზიციებით უნდა მივუდგეთ მომავალ ამოცანებსაც.

მათგან უმნიშვნელოვანესია სრულყოთ ეკონომიკისა და კულტურის პარტიული ხელმძღვანელობა, ავამაღლოთ მართვის დონე ამ სტატუსის უფროფოესი გაგებით. დღეს საჭიროა უზრუნველყოთ თითოეული კოლექტივის მუშაობის მწყობრი რიტმი, ავამოქმედოთ არსებული რეზერვები, რათა ყველგან მივაღწიოთ დაძაბული გეგმების უთუო შესრულებას. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული ხელმძღვანელ კადრებზე, დაკისრებული საქმისადმი მათს მიდგომაზე, მუშაობის სტილსა და მეთოდებზე.

ჩვენმა პარტიამ აღზარდა და სხვადასხვა უბანზე დააწინაურა ბევრ ნიჭიერი, ავტორიტეტიანი ორგანიზატორი. მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა პასუხისმგებლობით შესრულების სულისკვეთებით აღზრდილი ეს კადრები მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას ახმარენ ბრძოლას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპისათვის, რა არის დამახასიათებელი ახეთი ხელმძღვანელებისთვის? უწინარეს ყოვლისა კომპეტენტურობა, ინიციატივა, უნარი ეურდნობოდნენ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს, შექმნან საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა კოლექტივების მუშაობა, რომლებიც ისეთ ინდუსტრიულ გიგანტებს აშენებენ, როგორიც არის საინსკ-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგური, კამის საავტომობილო ქარხანა, „ატომმაშქანა“ და სხვები. მაღალი შეფასება მიეცა ყაზახეთისა და ბაშკირეთის ასსრ, ალტაისა და კრასნოდარის მხარეების, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ოლქების მხვნელ-მთესველთა, უკრაინისა და ბელორუსიის მეკარტოფილეთა, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის მებამბეთა. საქართველოს მეჩაიეთა წარმატებებს. მათს მიღწევებს სამართლიანად უკავშირებენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობის მეცადინეობას, რომლებმაც შეძლეს გასაღოლოდნენ ადამიანებს.

მაგრამ ჩვენში არიან ისეთი მუშაკებიც, რომლებმაც ჯერჯერობით ვერ შეძლეს დაეძლიათ ინერციის ძალა, გადაკრით შეშოებრუნებინათ თავიანთი მეცადინეობა ხარისხისაკენ. შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისაკენ. ჯერ კიდევ ბევრია კოლექტივი, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დავალებებს. ურიგდებიან ნედლეულს, ენერგიის, სამუშაო დროის დანაკარგებს. აღმოფხვრილი არ არის ხერეოზული ხარვეზები ტრანსპორტზე, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტზე, მშენებლობაში, ზარალიანია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაწილი.

ამ მიზეზთა შორისაა ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს ზოგიერთი მინისტრი, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს თავიანთ დარგებში მუშაობის სათანადო დონე. პარტიაზე ორგანიზაციათა წინაშე დასახლია ამოცანა ოპერატიულად და მწვავედ რეაგირებდნენ უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინებებზე, მკაცრი პარტიული შეფასება მისცენ დადგენილი წესებისა და ნორმების უმცირეს დარღვევებს. ამავე დროს, როგორც „პრავდის“ ფოსტა მოწმობს, ზოგან პრინციპული მოთხოვნის ნაცვლად მიმართავენ ზოგად მოწოდებებს დაამყარონ წესრიგი, ნაკლოვანებებთან ბრძოლას დეკლარაციული ხასიათი აქვს. ამის თაობაზე ბევრს ხმაურობენ, მაგრამ უშუალო დამნაშავენი ჩრდილში რჩებიან.

პასუხისმგებლობა არ შეიძლება უსახელო იყოს. იგი, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მუდამ პერსონალურია. არაორგანიზებულობისა და მოშვებულობის, გულგრილობისა თუ კონსერვატიზმის თითოეული ფაქტის მიღმა კონკრეტული პირები დგანან. პარტიული გავლენის ყველა საშუალების გამოყენებით, საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ იმ ცდებს, რომ ამოეფარონ უბადადებულ ობიექტურ მიზეზებს, დროა ბოლომდე აღმოვფხვრათ სხვისი მოიმედოობა და თვითნებობა, წინააღმდეგ უწყებრიობისა და კუთხურობის შემოტევას. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როცა ცდილობენ შეალამაზონ სინამდვილე წამატებების საშუალებით. ხდება ხოლმე, პარტიული კომიტეტები დიდხანს და უნაყოფოდ ელოლიავებიან ხელმძღვანელებს, რომლებიც საკმარისად არ არიან მომზადებული ან ჩაშალეს სამუშაო, გადაჰყავთ ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე, ეჩაჩინებიან, ანამუსებენ, მოვალეობის გრძნობას უღვივებენ, მაგრამ მათ არაფერი შველით. აქ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, უნდა ვიმოქმედოთ უფრო მტკიცედ, შევცვალოთ ისინი, ვინც საქმეს ვერ უძღვება, უფრო გაბედულად დავაწინაუროოთ ენერგიული, შემოქმედებითად მოაზროვნე ამხანაგები. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას მუშაობის ყველა დონეზე და უბანზე. გადასაწყვეტი პრობლემების მწარდი მასშტაბი, სირთულე, ეკონომიკური კავშირურთიერთობის უფრო ხშირი და განშტოებული ქსელით გულისხმობს მაღალ ორგანიზებულობას, შემართებას, ზუსტ მოქმედებას. დღეს უმცირესი შეფერხება ან დაუდევრობა, პარტიისა და მთავრობის დირექტივების უზუსტო ან არასრული შესრულება დიდ დანაკარგებს იწვევს.

„ამცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მოითხოვენ, კერძოდ, გავაძლიეროთ, გავამკაცროთ კონტროლი საგეგმო დავალებათა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. თორემ ყოველ წელს იძულებული ვიქნებით დაუბრუნდეთ ერთსა და იმავე საკითხს. ხელმძღვანელობს რა ამით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო უფრო ხშირად მოუსმენს თავის სხდომებზე ამხანაგებს, რომლებიც პასუხს აგებენ მუშაობის ამა თუ იმ მიმართულებისათვის. ანალოგიურად მოიქცეიან ალბათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სამინისტროები და უწყებები. იმედი გვაქვს, რომ ყოველივე ნათქვამიდან დასკვნებს გამოიტანენ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული კომიტეტებიც“

პარტიული მომთხოვნელობა შეცდომებისა და ხარვეზებისათვის დასჯით როდი ამოწურება. საჭიროა თავიდან ავიცილოთ ამგვარი მოვლენები, შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ ხელმძღვანელებს ჰქონდეთ სურვილი გულახდილად გაუზიარონ პარტიულ კომიტეტში თავისი აზრები და საზრუნავი, რადგან იციან, რომ აქ მიიღებენ საქმიან რჩევას, საჭირო მხარდაჭერას. შეუნელებელი ყურადღება უნდა დავუთმოთ ხელმძღვანელი კადრების იდეურ წრთობას, გონებრივი მორიზონტის გაფართოებას, მათი საქმიანი კვალიფიკაციის სრულყოფას. პრაქტიკა მოწმობს: საუკეთესო შედეგებს იქ აღწევენ, სადაც განუხრელად იცავენ კადრებთან მუშაობის ლენინურ პრინციპებს. სამწუხაროდ ჯერ კიდევ ყველა პარტიული კომიტეტი როდი უთმობს ამას სათანადო ყურადღებას. ამგვარ ნაკლოვანებებზე იყო საუბარი პარტიის უდმურტეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა კომიტეტის მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით.

ულ უფრო ახლოვდება ხუთწლედის ფინიში. დასახულ ამოცანებს თავი რომ გავართვათ, საჭიროა უფრო მეტი მომთხოვნელობა და ორგანიზებულობა, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. დაე, 1980 წელი თითოეული კოლექტივისათვის დამკვრელური მუშაობის წელი გახდეს!

ПРАВДА
8 იანვრის მოწინავე

ვიშრომოთ დამკვრელურად, ვიშრომოთ ლენინურად!

ფეიქრები შემსვლელ გეგმას იღებენ

თბილისის აბრეშუმის გაერთიანების კოლექტივის ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებში წერია: გეგმის გადაჭარბებით 400 ათასი მანეთის პროდუქციას გამოვუშვებთ, — ამ თანხიდან ასი ათასი მანეთი შემხვედრი გეგმით არის გათვალისწინებული; მომხმარებელს მივაწვდით ხარისხის უმაღლესი კატეგორიის 350 ათასი მანეთის დამატებით ქსოვილს, ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად წარვადგენთ სამი არტიკულის ქსოვილს.

ფეიქრებმა წარმატებით დაიწყეს მწლევანდელი წელი. იანვრის პირველ დღეებში დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია ათასობით მეტრი ლამაზი ქსოვილი. ფეიქართა მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც ორი ლენინის ორდენის კავალერი ვასილ გეგეშიძე ხელმძღვანელობს, თავის კოლეგებს მოუწოდა ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს და ამ თარიღისათვის გაანაღდონ ხუთწლედი. ამ მოწოდებას პირველმა აუბა მხარი ბრიგადამ, რომელსაც ოსტატის თანაშემწე გიორგი დიდებაშვილი უძღვას სათავეში.

ვალაზე რვა თვით ადრე

— **შევასრულოთ** ხუთწლედის დავალება 1980 წლის 22 აპრილისათვის და ღირსეულად შევხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, — ასეთი მოწოდებით მიმართა ქუთაისის პურკომბინატის კოლექტივმა ქალაქის ავტოქარხნის რაიონის საბრეწველო საწარმოთა კოლექტივებს.

მოწოდებას ფართოდ დაუჭირეს მხარი. 234 ბრიგადამ, 64 საამქრომ და 816 მუშამ ვალდებულება იკისრეს 22 აპრილისათვის შეასრულონ პირადი ხუთწლიანი დავალებანი.

ბოსტნეულის კონვეიერის სტარტი

რესპუბლიკის სპეციალიზებულმა მეურნეობებმა დაიწყეს საადრეო ბოსტნეულის მოსავლის აღება. ქვლებიდან მაღაზიაში იგზავნება ბოლოკი, სტაფილო, სუფრის მწვანილი. მინდორ-მაღაზიის პირდაპირი კავშირი შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ პროდუქციის დანაკარგი.

რესპუბლიკაში აუმჯობესებენ ბოსტნეულის წარმოებას. ბოსტნების მწვანე რკალში აქვთ მოქცეული თბილისი და ქართველ მეტალურგთა ქალაქი რუსთავი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების სპეციალიზებულ მეურნეობებს. მის წილად ბოსტნეულის 80 პროცენტი მოდის. გაერთიანების განკარგულებაშია საფირმო მაღაზიების განშტოებული ქსელი. წინასწარ შემუშავებული გრაფიკით, 61 მეურნეობა აწვდის ბოსტნეულს მაღაზიებსა და საკონსერვო ქარხნებს.

ბოსტნეულის კონვეიერი პრაქტიკულად მთელი წლის მანძილზე მუშაობს, — ამბობს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მმართველი დ. მაღალაშვილი. — ახლა მტკიცე საფუძველს ვუყრით უხვ მოსავალს. დამთავრდა ღია გრუნტში კომბოსტოს ჩითილის გადარგვა, რომლის მოსავლის აღება აპრილში დაიწყება, ხოლო სათბურებში — პომიდორის, ბადრიჯნის, ბულგარული წიწაკის ჩითილის გადარგვა.

ბოსტნეულის რიტმულ წარმოებას ხელს უწყობს შიდასამეურნეო სპეციალიზაცია. იქ, სადაც წინათ ათობით სახეობის პროდუქცია მოჰყავდათ, ახლა ამჯობინეს ერთიან რამდენიმე სახეობისა, რომლებზეც უფრო მეტი მოთხოვნაა.

წელს რესპუბლიკის სპეციალიზებული მეურნეობები აპირებენ დამზადონ 200 ათასი ტონა ბოსტნეული — შარშანდელზე თითქმის 50 ათასი ტონით მეტი. (საქინფორმი).

სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ. საკადრ.-საქინფორმის ტელეფოტო.

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

დაეხმარა რეზერვი

თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“ საამწეო ელექტროძრავები კარგად არის ცნობილი ჩვენში. მისი პროდუქცია უცხოეთის 30 ქვეყანაშიც იგზავნება. წლეულს ქარხანამ უნდა გამოუშვას 40.000 ძრავა, საიდანაც 1.300 განკუთვნილია საექსპორტოდ.

ბათუმელ მანქანათმშენებლებს რიტმულად მასალებით არც საქართველოს მთავარმმართველობა და ქუთაისის ლითონის ბაზა უზრუნველყოფს. ამის გამო 1978 წლის დამდეგს და წლის დამლევსაც საწარმოს არავითარი მარაგი არ ჰქონდა. მდგომარეობა ამ მხრივ არც 1979 წელს გაუმჯობესებულა. ყოფნოვის მეტალურგიულმა ქარხანამ ბათუმელებს წლის განმავლობაში დიდი როდენობის ფოლადი, ფურცლოვანი რკინა, კვარცის ქვიშა და სხვა ნედლეული დაუკლო.

ამ მწარე გაკვეთილებიდან ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს. „მაქსიმალური ეკონომიით ვხარჯოთ ნედლეული“, „ავამოქმედოთ ყველა რეზერვი“, „უთუოდ შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები“ — ასეთი ვალდებულებები იკისრა კოლექტივმა. ერთსულოვნებამ, დარაზმულობამ, პასუხისმგებლობის გაზრდამ, მოიჯარადრეებისადმი მკაცრმა მომთხოვნელობამ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოასწორა.

ბოლო წლებში ქარხანაში ცოტა რამ როდი გაკეთდა. აშენდა ახალი ექსპერიმენტული საამქრო, 600 კვადრატული მეტრით გაფართოვდა საამწყობო საამქრო, საექსპლატაციოდ გადაეცა მოსამზადებელი უბანი, ამუშავდა ჩაის დოზირების ახალი ნაკადური ხაზი, აშენდა ცენტრალური ლაბორატორია და, რაც მთავარია, 4 სახეობის მანქანას მიეკუთვნა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

ახალი პროდუქციის ათვისებას მუდამ სდევს სიძნელეები, ზოგჯერ არც მანქანების კონსტრუქციებია სრულყოფილი. მაგალითად, ოდესაში შემუშავებულ თუნუქის საკონსერვო ქილების განმტვირთავ და როსტოვში შექმნილ ავტოკლავის ავტომატებს კონსტრუქციული ხარვეზები აღმოაჩნდა. ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა ხარვეზებს არა მარტო მიაგნეს, არამედ ავტორებს მისი უკეთესად გადაწყვეტის გზებიც შესთავაზეს.

ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა მეცნიერულ საფუძვლებს ეყრდნობა. საამისოდ საწარმოს კავშირი აქვს მოსკოვის, ჩერკასკის, როსტოვის, თბილისის სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტებთან. შეიცვალა მრავალი ამორტიზებული დანადგარი, დამონტაჟდა 25 დასახელების სარაცატო ჩარხი და სხვ.

მანქანათმშენებლები გაორკეცებული ენერგიით შრომობენ სიძნელეთა გადასალახავად. თ. პაიჭაძის, მ. ღლონტის, მ. პონომარენკოს ბრიგადები კარგა ხანია მომავალი წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას. მეათე ხუთწლედის გეგმა სამ წელიწადში შეასრულეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კ. დოლიძემ, ა. პლუჟნიკოვმა, მ. ქარცევაძემ და სხვებმა.

ხვალინდელი დღე ბათუმელ მანქანათმშენებლებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1981-1984 წლებში დაგეგმილია ქარხნის რეკონსტრუქცია, რომლის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება პროდუქციის გამოშვების მოცულობა. რაკი ჩაის მანქანებზე დიდი მოთხოვნილებაა, ქარხანა მომავალში ყოველწლიურად 6 მილიონი მანეთის ჩაის ფაბრიკების აღჭურვილობას გამოუშვებს, ხოლო მომინანქრებული ავზების წარმოება 10 მილიონ მანეთს მიაღწევს. სიახლე ისიც იქნება, რომ კოქსის ღუმელები, რომლებიც მავნე აირებს უშვებს, შეიცვლება ელექტროღუმელებით.

საწარმოს კოლექტივმა ისწავლა მასალებისა და ენერგიის მომჭირნედ ხარჯვა. შარშან წლის დამდეგიდან დაზოგილია 360 ტონამდე ლითონი, 10 ტონა საწვავი და დიდი რაოდენობის ელექტროენერგია.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

რესპუბლიკაში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი საარჩევნო კრებები.

ახალქალაქი. სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე პატეიშვილი** დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 141 ახალქალაქის საარჩევნო ოლქში ახალქალაქის ყველ-კარაქის მეთაური ქარხნის კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

თეთრი წყარო. თეთრი წყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი **თინა შალვას ასული ბექაური** ამ მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაასახელა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად № 159 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქში.

წითელწყარო. წითელწყაროს საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის საარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 211 წითელწყაროს საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე **გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი.**

სამტრედია. სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე დაადგინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის რაიონის № 293 ენგელსის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი კინორეჟისორი **ლანა ლევანის ასული ღოღობერიძე.**

საჩხერე. საჩხერის მექანიზებული სატყეო მეურნეობის კოლექტივმა თავის საარჩევნო კრებაზე გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 248 საჩხერის საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ვახტანგ ივანეს ძე ქარუმიძე.**

აბაშა. ალმანახ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი მწერალი **კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე** ძველი აბაშის სამეურნეოთაშორისო მიცხოველეობის საწარმოს კოლექტივის საერთო კრებაზე დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის საარჩევნო ოლქში.

ცხაკაია. კორორტ მენჯოს თანამშრომელთა საარჩევნო კრებამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხაკაიას რაიონის № 321 ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი.**

ლანჩხუთი. სოფელ ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა თავიანთ საერთო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლანჩხუთის რაიონის № 309 ლესის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ომარ გიორგის ძე ვარძელაშვილი.**

გარდაბანი. თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 96 გარდაბნის საარჩევნო ოლქში დაასახელონ გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი **სულეიმან მაგომედ ოღლი სულეიმანოვი.**

ბორჯომი. საბაზო სანატორიუმ „ლიკანის“ კოლექტივის საარჩევნო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორჯომის რაიონის № 130 ბორჯომპარკის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე **ემილ ალექსის ძე სეხნიაშვილი.**

გურჯაანი. კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საერთო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის რაიონის № 198 კარდანახის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე **შალვა ზაქარიას ძე ბერიანიძე.**

ბოლნისი. რესპუბლიკის ქვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი **გურამ ივანეს ძე ლოლაძე** დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 162 ბოლნისის საარჩევნო ოლქში ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

თბილისი. თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 73 მახათას საარჩევნო ოლქში დაასახელეს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის გამგე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი **უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძე.**

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გურამ დიმიტრის ძე გაბუნია** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 34 ლორა ციტკინის საარჩევნო ოლქში დასახელებულია საარჩევნო კრებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის „სამთოსოფლმანქანის“ სამეცნიერო-კვლევის ინსტიტუტში გაიმართა.

თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში გამართულმა საარჩევნო კრებამ დაადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 198 კარდანახის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე **შალვა ზაქარიას ძე ბერიანიძე.**

ბოლნისი. რესპუბლიკის ქვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი **გურამ ივანეს ძე ლოლაძე** დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 162 ბოლნისის საარჩევნო ოლქში ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

თბილისი. თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 73 მახათას საარჩევნო ოლქში დაასახელეს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის გამგე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი **უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძე.**

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გურამ დიმიტრის ძე გაბუნია** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 34 ლორა ციტკინის საარჩევნო ოლქში დასახელებულია საარჩევნო კრებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის „სამთოსოფლმანქანის“ სამეცნიერო-კვლევის ინსტიტუტში გაიმართა.

ქუთაისი. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გივი სერგის ძე აბზიანიძე** ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში გამართულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონის № 263 რუსთაველის საარჩევნო ოლქში.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საწნეხ-სამჭედლო საამქროს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის ოქტომბრის რაიონის № 257 ავტოქარხნის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საავტომობილო ქარხნის დირექტორი **ვახტანგ ივანეს ძე ხარებავა.** (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა მოლაპარაკება

8 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოლაპარაკებას შეუდგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით და საფრანგეთის კომპარტიის დელეგაცია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჟ. მარშეს მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. მ. კრუგლოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის შემადგენლობაში არიან საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გრემეკი, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ფ. ლაზარი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები დ. მონტე და ჟ.-პ. მანიონი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე პ. ლემეკი.

მოლაპარაკების დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ჟ. მარშემ ილაპარაკეს სსრ კავშირისა და საფრანგეთის მდგომარეობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ. ორივე მხარემ დიდი ყურადღება დაუთმო საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებას, მშვიდობის, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების პრობლემებს, შეეხნენ აგრეთვე ორი პარტიის ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხებს.

საუბარში, რომელმაც გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ა. ი. ბლატოვმა.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკადესი).

1980 — 1981

1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღეა

ხალხის კანდიდატები

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მაღალი აქტიურობის ატმოსფეროში გრძელდება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი მშრომელთა საარჩევნო კრებები. მაღალ ნდობას — წარმოადგინონ ხალხის ინტერესები რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — უცხადებენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს.

სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი, თბილისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი **გრიგოლ ბეგლარის ძე კობახიძე** ამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საარჩევნო კრებამ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა.

თბილისის სასწრაფო დახმარების ავტობაზის კოლექტივის საერთო კრებამ ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა **მოწენილი მძღოლი ვიქტორ იაკობის ძე სოროკინი.**

ბაკურიანის მეწყვილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრებაზე ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის მუშა **მანანა პავლეს ასული კაჩიშაზოვა.**

საჩხერის მეკვლეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი **ციხანა უშანგის ასული დეკანოიძე** საჩხერის რაიონის სახალხო დეპუტატთა მერჯევრის სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ საბჭოთა მეურნეობის მეოთხე უბნის მშრომელთა საერთო კრებაზე.

საჩხერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანების საჩხერის ფილიალის საარჩევნო კრებაზე დასახელეს მოწენავე მუშა **ზეინაბ გრიგოლის ასული ჯაფარიძე.**

სოფელ დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვეტილება მიიღო სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელოს ამ მეურნეობის მექანიზატორი **გივი ბორისის ძე ლეჟავა.**

სოფელ მამათის კოლმეურნეობის მეჩაიე **ნორა ფილიპეს ასული კილაძე** კოლმეურნეობის საარჩევნო კრებაზე დასახელებულია ლანჩხუთის რაიონის მამათის სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

აბაშის „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების საარჩევნო კრების მონაწილეებმა აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს მოწენავე მექანიზატორი **ივანე ნიკოლოზის ძე სტორჩაკი.**

სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე წეთელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს ამ მეურნეობის მეკვანზე **მაყვალა ალექსანდრეს ასული ლატიბაშვილი.**

ალასტანის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ საერთო კრებაზე ახალციხის რაიონის ალასტანის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს **კეროპ ბალასანის ძე ოველიანი.**

ცხაკაიას ხალიჩის კომბინატის კოლექტივის საარჩევნო კრებამ ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელა საწარმოს მოწენავე **მექანიზატორი ივანე ნიკოლოზის ძე სტორჩაკი.** (საქინფორმი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ ეჯახებიან

ჟურნალის „წულუკიძის

რაიკომი

სამაგრო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „დავინახე ქადაო, ყელში დადაქანდაო“. ამის გამო პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კვარაცხელია რედაქციას ატყობინებს:

გაზეთში დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ამ საკითხზე იმსჯელა რაისაბჭოს აღმასკომმა, რომელმაც რაიკოოპერატივის სარევიზიო ჯგუფის უფროსს ო. სანოძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო სავაჭრო განყოფილების გამგეს ზ. მარჯანიშვილს, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს გ. ბახტაძეს — საყვედური.

ცნობად იქნას მიღებული, რომ სავაჭრო ცენტრის სპორტული მაღაზიის ყოფილ გამგე-გამყიდველს რ. სანოძეს ქუთაისის სახალხო სასამართლომ ერთი წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, გამყიდველი ა. გაზდელიანი რაიკოოპერატივის გამგეობამ გაათავისუფლა სამუშაოდან, ხოლო სავაჭრო ცენტრის დირექტორი გ. მონიავა, საქონელმცოდნეები ს. კუბალაშვილი, ფ. ჭავჭანიძე, წუნმდებელ — საქონელმცოდნე შ. ჩარგეიშვილი მკაცრად არიან დასჯილნი.

პარტიის თელავის

რაიკომი

ბარემოს გაუუჭყიანების სავალალო შედეგს შეეხებოდა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ფელეტონი „ხევი“. თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ ამის თაობაზე რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტი სწორია. ხევიდან გადმოვარდნილი წყალი ზიანს აყენებდა მოსახლეობას. ამიტომ ხევის წყალგამტარი მილები გავწმინდეთ ნაგვისაგან. წყლის შეუფერხებელი დინებისათვის მომავალში უფრო მეტი სამუშაოები შესრულდება. ამჯერად ეს სამუშაოები პროექტდება.

საქართველოს სსრ

სოფლის მეურნეობის

სამინისტრო

„დაპირებას შესრულება უნდა“ — ამ სათაურით დაიბეჭდა „კომუნისტში“ მოწენავე წერილი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა და დაჯილდოებულთადმი უსულგულო დამოკიდებულებას შეეხებოდა. ამის გამო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი გვწერს:

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეამოწმა წერილში მოყვანილი ფაქტი და ადასტურებს კრიტიკული გამოსვლის სისწორეს. მიღებული ზომების შედეგად თიანეთის რაიონის ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას პეტრე ჯიმშიტაშვილს, რომელმაც 1977 წელს საკვების დამზადებისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, გადაეცა კუთვნილი მაჯის საათი.

საქართველოს სსრ

ჯანმრთელობის

დაცვის სამინისტრო

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „ხსნას რომ ეთქვა — არ დავიჯერებდი“, ლაპარაკი იყო ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ავარიულ და ანტისანიტარიულ მდგომარეობაზე. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ შ. ლომიძემ გვაცნობა:

ჯანმრთელობის სამინისტრომ აღნიშნული წერილი განიხილა. ქუთაისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო ადგილობრივი სამეურნეო აღმასკომის პიუჯეტზეა და რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტი უშუალოდ მას გამოუყოფს კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო თანხებს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ქუთაისის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგეს გ. ბაბუხადიას დაავალა დროულად შეკეთოს საავადმყოფოს შენობა, რომ იგი შეესაბამებოდეს სამედიცინო ნორმებს.

თბილისის შინაგან

საქმეთა სამმართველოს

სახელმწიფო

ავტოინსპექცია

წერილი „რად დავიგვიანეთ პირველ სექტემბერს“, „ტრანსპორტის მოიწესრიგებელ მოძრაობას შეეხებოდა.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსმა გ. ცინცაძემ რედაქციას აცნობა:

ბოლო ხუთი-ათი წლის განმავლობაში თბილისში საგრძნობლად გაიზარდა ავტომოტოტრანსპორტის რიცხვი და ამასთან მოძრაობის ინტენსიურობაც. მანქანებით იკეტება ქუჩები, რაც მოქმედებს მოძრაობის გრაფიკზეც. უსაფრთხოების საქალაქო კომისიამ განიხილა ხეთაგუროვის, საბჭოს, ფიროსმანისა და კალინინის ქუჩაზე ტრანსპორტის მოძრაობის მდგომარეობა და შეიმუშავა ახალი სქემა, ამის საფუძველზე კალინინის ქუჩის დასაწყისსა და ბოლოში გაკეთდა საგზაო ნიშნები, რომლებიც კძალავს ამ ქუჩაზე ტრანსპორტის მოძრაობას. რაც შეეხება ქვაფენილს, იგი ზედმეტ ხმაურს იწვევს, ამიტომ საგზაო მეურნეობის სამმართველოს გათვალწინებული აქვს ქვაფენილი ასფალტ-ბეტონით შეცვალოს, ხოლო ტრამვაის ხაზის ნაცვლად ტროლეიბუსის ხაზი გაიყვანოს.

ჯანმრთელობის სამსახურში



ნაყოფიერად მუშაობს ახალი სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი. ინსტიტუტში ამზადებენ ეფექტიან პრეპარატებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ.

სურათზე: ანალიზური ქიმიის განყოფილების გამგე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ ბოსტოღანაშვილი (ცენტრში), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ჰენრი დეკანოსიძე და უფროსი ლაბორანტი მედეა ჩხეიძე მუშაობის დროს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხელმა ხელი ვერ დაბანა...

ანუ ჩამწარებული შაქრის ჭარხალი

შარშან, შაქრის ჭარხლის ნათესების რაიონული დათვალიერების დროს, გორში გამოითქვა შიში იმის გამო, რომ ჭარხლის სახელმწიფო გეგმის შესრულება შეიძლებოდა საფრთხეში აღმოჩენილიყო. შაქრის ჭარხლის მწარმოებელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რჩეკა მიეცათ განეზორციელებინათ ყველა საჭირო ღონისძიება მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამ კულტურის უხვი მოსავლის წანამძღვრის შესაქმნელად.

რჩევა კი მიეცათ, მაგრამ ყველამ ყურად როდი იღო ეგი. უკვე მოსავლის აღების პირველსავე დღეებში ნათელი გახდა, რომ რაიონი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ამ ძვირფასი ნედლეულის დამზადების გეგმას ვერ შეასრულებდა. ოპერატიულმა თათბირებმაც საქმეს ვერაფერი უშველა და მაინც მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები იტიბარს არ იტეხდნენ, იფიცებოდნენ, გეგმას აუცილებლად შეგასრულებთო.

ნათქვამია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ის „ბოლო“, ჭარხლის ნაყოფი, მიწიდან რომ იღებდნენ, მართლაც რომ, გაკვირვების საბაბს იძლეოდა. დაგვალული, გამოფშუტული თითოეული ჭარხალი 200-300 გრამს ძლივს იწონიდა, რაიონს კი, რესპუბლიკაში შაქრის ჭარხლის ერთ-ერთ მთავარ მწარმოებელს, 38000 ტონა ჭარხალი უნდა დაემზადებინა.

რისი იმედი ჰქონდათ ზოგიერთებს, როცა ასე ზარ-ზეიმით ჰპირდებოდნენ ქვეყანას შაქრის ჭარხლის გეგმის უთუოდ შესრულებას?

როგორც ახლა ირკვევა, გეგმების ფიქციური შესრულების, წამატებებისა და თვალისახვევის, სხვა სიმახინჯისა და დანაშაულებრივი ხასიათის საშუალებების გამოყენების იმედით იყვნენ.

საქმე ასე დაიწყო. ამ ერთი წლის წინათ, საქართველოს შაქრის კომბინატის გორის შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტის გამგედ დანიშნეს ვ. ღუღუნაძე, გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო „საწარმოო გაერთიანების აგრონომი, ახალგაზრდა სპეციალისტი.

ძნელია ახლა თქმა, თუ როდის ჩაესახა ამ კაცს მტაცებლის ინსტინქტი. ზნეობრივმა უწმინდურობამ, მიმხვეჭელობისადმი მისწრაფებამ ვ. ღუღუნაძე სწორედ რომ ასეთ კაცად აქცია. მან გადაწყვიტა შაქრის ჭარხლის დამზადების ისედაც ძნელი კამპანიის დროს ხელი მოეთბო სახალხო დოვლათზე, პირი ტკბილი ნაყოფით ჩაეგემრიელებინა, ხელოვნურად შეექმნა სიძნელეები, რომლებიც, როგორც მას ეგონა, გაუადვილდებოდა საძრახისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას.

საქმესაც შეუდგა. საზოგადოებრივი მეურნეობებიდან შაქრის ჭარხლის მიღებისას ვ. ღუღუნაძე მეურნეობათა წარმომადგენლებს ატყუებდა წონაში, მიღებულ ჭარხალზე სწორედ არ აღნიშნავდა დანაგვიანების პროცენტს და პუნქტში ქმნიდა შაქრის ჭარხლის ზედმეტობას.

ეს გახლდათ თაღლითური საქმის პირველი ეტაპი. მას შემდეგ, რაც პუნქტში ათობით ტონა ზედმეტი ჭარხალი დაგროვა, ვ. ღუღუნაძე კლიენტების მოლოდინში გაინაბა. არც შემცდარა. როგორც კი გაიარკვა, რომ ბერშუეთისა და ფლავის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები — ვ. შიუკაშვილი და ნ. მეტრეველი) შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმებს ვერ შეასრულებდნენ, პუნქტის გამგეს ამ კოლმეურნეობის წარმომადგენლები — ბერშუეთის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვ. ფციქრიშვილი და ფლავის კოლმეურნეობის წევრი ჯ. გოგშელიძე ესტუმრნენ. მისვლის მიზანი უბრალო იყო — თავიანთი კოლმეურნეობებისათვის მათ შაქრის ჭარხალი უნდა შეესყიდათ. ვ. ღუღუნაძე მათ დახმარებას შეპირდა და ფასიც იქვე გამოაცხადა — ტონა შაქრის ჭარხალში ოცი მანეთი.

კლიენტები წავიდნენ და ორიოდ დღეში ისევ უკან მობრუნდნენ. ამჯერად ფუღეთ გატენილი ჯიბეებით. როგორც ახლა ირკვევა, ფული მათ კოლმეურნეებისაგან შეაგროვეს, თანაც თანასოფლელებს შეპირდნენ, სხვა კულტურების მოყვანაში ზედმეტს გამოგიწერთო, ის პრემიადანამატებიც თქვენი იქნება, შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმის „შესრულებისათვის“ რომ მიიღებთო, და ზოგიერთმა სულწასულმა მართლაც გაიღო ფული — გეგმის „შესასრულებლად“ ვინ ასი, ვინ-სამასი, ვინ-რვაასი მანეთი. ასე რომ, არც ფიცია და არც კულტივაცია და თოხნა არ დასჭირვებიათ. გვალვა? პუნქტში გვალვა არ უგვრძნიათ, პირიქით, გვალვამ ფული აშოვნინათ.

ერთი სიტყვით, გასული წლის 28 ნოემბერს გორის შაქრის ჭარხლის პუნქტში დიდი ფაციფუცი იყო. იწერებოდა ყალბი ზედნადებები, რომელთა თანახმადაც 29 ნოემბერს (!) ფლავისა და ბერშუეთის კოლმეურნეობებმა პუნქტში ასობით ტონა შაქრის ჭარხალი მოიტანეს.

3. ღუღუნაძე კარგ გუნებაზე იყო. 2.692 მანეთი ჯიბეში ედო, რომელიც მან ფლავის კოლმეურნეობის წარმომადგენლის ჯ. გოგშელიძისაგან აიღო. სამაგიეროდ, ამ კოლმეურნეობას 125 ტონა შაქრის ჭარხლის ყალბი ზედნადებები გაუფორმა. ახლა კი ასეთ ზედნადებებს ბერშუეთის კოლმეურნეობას გამოუწერს. ვ. ფციქრიშვილს უკვე გამზადებული ჰქონდა 3.164 მანეთი ვ. ღუღუნაძისათვის გადასაცემად. მოდი და, ნუ დადგები კარგ გუნებაზე, როცა ასე იოლად შეიძლება ფულის შოვნა.

ხელი ხელს დაბანს. მერე რა, რომ ჭუჭყი დარჩება. ამ ჭუჭყის შესახებ ხომ ძეხორციელი ვერ გაიგებს. ასე ფიქრობდნენ ნოემბრის ამ საღამოს პუნქტში შეკრებილი საქმოსნები, მაგრამ გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, პუნქტისაკენ რომ მიიჩქაროდნენ, ასე როდი ფიქრობდნენ. ჭუჭყიანი საქმე უნდა გამოემეზეურებინათ, ბოროტმოქმედები უნდა ემხილებინათ.

პირდაპირ ვიტყვით: მომხდარმა ფაქტმა გულის სიღრმემდე შეძრა, რაიონის მშრომელები, ამ აბავმა ყველა პატიოსანი ადამიანის კანონიერი გულისწყრომა გამოიწვია.

მართლაც, უკანასკნელ წლებში, როცა რაიონის კომუნისტებმა, მშრომელებმა უშეღავათო ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარი ფორმის შემორჩენილ სიმახინჯეს — კერძომესაკუთრულ გადმონაშთებს, ზნეობრივ უწმინდურობას, მომხვეჭელობისადმი სწრაფვას და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში გარკვეული გარდატეხებსაც მიაღწიეს. რაიონის ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელებმა მძიმე დანაშაული ჩაიდინეს: მოტყუების, თვალისახვევის გზით შეეცადნენ შეექმნათ შაქრის ჭარხლის გეგმის შესრულების ყალბი სურათი.

აკი განზრახვა ჩაიფუშა. ჭარხალი, „ტკბილი პლანტაციების“ ნაყოფს რომ ეძახიან, ამჯერად გამწარდა.

მომხდარი ფაქტის ირგვლივ პრინციპულად იმსჯელა პარტიის გორის რაიონული კომიტეტის ბიურომ. დანაშაულები მკაცრად დაისჯნენ. ბერშუეთისა და ფლავის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ვ. შიუკაშვილსა და ნ. მეტრეველს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბარათში შეტანით. შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტის გამგე ვ. ღუღუნაძე და ბერშუეთის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვ. ფციქრიშვილი გარიცხეს სკკპ რიგებიდან და მათი საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტს სწავლობს რაიონის პროკურატურა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

პროგრესული ტექნოლოგიით...

თბილისის ტყის ინსტიტუტის უფროსს მეცნიერ თანამშრომელს კ. მანველიძესა და ამავე ინსტიტუტის ნადარბაზევის საცდელი ნაკვეთის გამგეს რ. დვალიშვილს, რომლებმაც ექსპედიციის დროს აღმოაჩინეს კაკლის ათი ფორმა, კაკლის ხეების საუკეთესო ფორმების გამოვლენასათვის მოწყობილი რესპუბლიკური კონკურსის პირველი პრემია მიენიჭათ.

ამ კაკლებს მსხვილი, თხელნაჭუჭიანი ნაყოფი აქვს. იგი 70 პროცენტამდე ცხრმს შეიცავს, რაც ჩვეულებრივზე გაცილებით მეტია. ხეები უხვ მოსავალს იძლევიან და სხვა ჯიშებზე უფრო ადრე ისხამენ ნაყოფს.

ნადარბაზევში, მცხეთის მახლობლად, უკვე არის ახალგაზრდა კაკლნარი, რომელიც კაკლის ძვირფას ნაირსახეობათა ერთგვარ ნაკრძალს წარმოადგენს.

მეტყველმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. მანველიძემ საქინფორმის კორესპონდენტს უამბო, თუ რა მუშაობა ჩატარდება ამ კაკლის წარმოების გაზრდისათვის:

— კაკლის კორომების ფართობი რესპუბლიკაში ახლა 16 ათას ჰექტარს არ აღემატება. ეს ძალიან ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხოვნა ყოველ ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში სამ-ხანევარ კილოგრამს აღემატება. რეალურად კი ჩვენში ერთ სულზე მხოლოდ 80 გრამი მოდის. აქედან გამომდინარეობს ახალი კაკლნარების გაშენების აუცილებლობაც — უნდა დაირგას 5 მილიონამდე ხე, თითქმის ორმოცჯერ მეტი, ვიდრე ახლაა.

მეცნიერებმა ნამყენი ნერგების რგვის პროგრესული ტექნოლოგია შეიმუშავეს, რაც უზრუნველყოფს უფრო დიდ მოსავლიანობას. ჩვენმა სპეციალისტებმა მოლდავეთისა და შუა აზიის მშრომელებისაგან ბევრი რამ სასარგებლო გადმოიღეს—იქ კაკლის კულტურა განსაკუთრებით არის განვითარებული, ჩამოყალიბებულია სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები. ალბათ დადგა დრო, რომ ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიქმნას მეკაკლეობის სპეციალიზებული მეურნეობები.

სამართალდარღვევათა

აღმოფხვრა, მართლწესრიგის დაცვა და სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნა დიდმნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფო ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი სამართალდამცველ სპეციალურ ორგანოებს მხოლოდ საზოგადოებრიობის მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით შეუძლიათ.

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით აღიარა და განამტკიცა საზოგადოებრიობის მონაწილეობა კანონიერების დაცვისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კონსტიტუციის 162-ე მუხლში ჩაწერილია: სამოქალაქო და სისხლის სამართლის სქემეთა სამართალწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

შარშან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება: „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინაღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ეს დადგენილება პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცველი ორგანოებისათვის საპროგრამო, ისტორიული მნიშვნელობის პარტიულ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი დიდად შეუწყობს ხელს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაქტიურებასა და გაძლიერებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი აკალებს სამართალდამცველ ორგანოებს უკომპრომისო და გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღონ დანაშაულობის წინააღმდეგ, განვითარონ და განამტკიცონ კავშირი შრომითს კოლექტივებთან და საზოგადოებრიობასთან.

დადგენილება მთელი პრინციპულობით მოითხოვს, რომ პარტიულმა კომიტეტებმა ნიადაგ იზრუნონ სამართალდამცველი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის კავშირის გაფართოება-განმტკიცებისათვის, მათ გარშემო პატივისცემისა და მხარდაჭერის ატმოსფეროს შექმნისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ 1979 წლის 26 ივნისს საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე აღნიშნა, რომ წარსულის გადმონაშთების, ჩვენი საზოგადოების ბუნებისათვის უცხო ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი აქტუალური პრობლემაა.

პარტიულმა, საბჭოთა, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასამართლოს, იუსტიციის ორგანოებმა იდეოლოგიურ ინსტიტუტებთან ერთად უნდა გააძლიერონ ბრძოლა სამართალდარღვევებისა და მათი წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ, სრულყონ პროფილაქტიკური მუშაობა, სწორად შეახამონ აღმზრდელობითი და სადამსჯელო პრაქტიკა.

რესპუბლიკის მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ ქმედითს ღონისძიებებს, რომელთა დამკვიდრებამ თანდათანობით და მიზანდასახულად განაპირობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებამ ხელი შეუწყო ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, აამაღლა მოსახლეობის სულიერი კულტურის დონე, დაჩქარა სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაცია, საზოგადოების მოწონაგე ნაწილი ჩაბა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებულ უკომპრომისო საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

დანაშაულებრივ მოვლენებთან ბრძოლა, გვასწავლის საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და სოციალისტური კანონიერების ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი, წარმატებით შეიძლება დაგვირგვინდეს მაშინ, თუ თვით ხალხი, საზოგადოებრიობა გვეხმარება.

საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეებთან ბრძოლაში მრავალმხრივი უნდა იყოს, კერძოდ, იგი უნდა მონაწილეობდეს დანაშაულის თავიდან აცილებაში, დანაშაულის გამომქიღავნებაში, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებაში, დანაშაულის ჩადენი პირების, მოწმეების, დაზარალებულების დადგენაში და გამოძიებაში, დამნაშავის ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში და ა. შ.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ ის ჭეშმარიტი დებულება, რომ, თუ, მე, შენ და სხვამ მებრძოლური ხელი არ აღემართეთ სამართალდამრღვევთა მიმართ, ისე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით ვერ დაგვირგვინდება. ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს თანამოსაქმე ამხანაგების მიერ სამართალდარღვევათა საქციელის მტკიცე დაგმობა.

ყველას გვევალება იმ ერთეულ დანაშაულ, გადაგვარებულ ადამიანთა გამომძიებლობა და ჩვენი რიგებიდან მათი გამომარგვა და გამოკაფვა, ვინც უღირსი ქცევით ჩირქს სცხებს ჩვენს საქეყნოდ აღიარებულ მაღალ ეროვნულ კულტურას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ მარტო მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ბრძოლა ნაკლებ ეფექტიანი იქნება, თუ დანაშაულობათა და დამნაშავე პირთა წინააღმდეგ არ აღდგენ მთელი ჩვენი მოწონაგე საზოგადოებრიობა, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქეები.

საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალ შეგნებაზე მეტყველებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ განცხადების, ცნობის მყისვე მიწოდება მომკვლევი, საგამომძიებო და სასამართლო ორგანოებისათვის.

ასეთი ცნობა-სიგნალი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბია, რომლის საფუძველზე საგამოძიებო და მომკვლევ ორგანოებს შესაძლებლობა ეძლევათ დროულად რეაგირებდნენ დანაშაულზე, მიმართავდნენ საგამოძიებო მოქმედებას დანაშაულის ჩამდენი პირის ან პირთა სამხილებლად.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ საზოგადოებრიობა ყოველთვის როდი იბრძვის დანაშაულისა და დამნაშავის გამოსამჟღავნებლად.

უფრო მეტიც, ზოგიერთი მოქალაქე მალავს დამნაშავე პირს ან უნახავს დანაშაულის ბაზაზე შეძენილ ფასეულობებს, მაშინ როცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლით დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით შეძენილი საგნების წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვა სისხლის სამართლის წესით ისჯება.

ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი მართლწესრიგის დამრღვევთაგან, იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იდეოლოგიურ მუშაობაში აქვთ ნაკლოვანებანი. ყველგან არ ეწევიან უკომპრომისო ბრძოლას წარსულის მავნე გადმონაშთების, კომუნისტური მორალის ისეთი ანტიპოდების წინააღმდეგ, როგორიც არის მექრთამეობა, გამოძალვა, ხულიგნობა, ქურდობა და სხვ.

კანონის დამრღვევი, დანაშაულის ჩამდენი პირი უშუალოდ უნდა გრძნობდეს, რომ მის ყოველ ცუდ ქცევას კრიტიკულად შეაფასებენ და დაგმობენ მშრომელთა კოლექტივში, რომელმაც სამართალდარღვევითა და ბოროტმოქმედებით ჩირქი მოცხო მთელ კოლექტივს, მის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სახელმწიფო, შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ ყოველთვის არ უპირისპირდება საზოგადოებრივი აზრი. რესპუბლიკის თითოეული მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მის ქონებას, მის უფლებებს, მის ღირსებასა და სიმშვიდეს საიმედოდ იცავს სახელმწიფო.

საბჭოთა სამართალი ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების, გარდაქმნის, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების გამოხატვისა და მტკიცედ დაცვის უმნიშვნელოვანესი იარაღი იყო და არის.

რაც უფრო ვითარდება ჩვენი საზოგადოება, — აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, — მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახრა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით. მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მშრომელი კოლექტივის აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნების მეთოდებიც, კანონის ძალაც — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი ავალებს გამომძიებელს ფარნოდ გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გამოსამჟღავნებლად და მისი ჩამდენი პირების მოსაძებნად, აგრეთვე დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად და ასაცილებლად. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ საზოგადოებრიობასთან საგამომძიებო ორგანოთა მჭიდრო კონტაქტი ხელს უწყობს დანაშაულის დროულ გახსნას, დამნაშავეთა გამოაშკარავებას და დაკავებას.

ამიტომ საზოგადოებრიობის მოზიდვას მოკვლევის და წინასწარი გამოძიების სტადიაზე, აგრეთვე საქმის სასამართლო განხილვის დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მართლმსაჯულების აღსრულებაში სახალხო მსაჯულების, საზოგადოებრივი ბრალმდებლობისა და საზოგადოებრივი დამცველების მონაწილეობა.

კიდევ უფრო ქმედითი უნდა გახდეს ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმელებისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ბრძოლ

მსოფლიო ასპარეზზე

ქართველ მეცნიერთა ნაშრომები საზღვარგარეთ

საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში დღით დღე მზარდ ყურადღებასა და ინტერესს იჩენენ ქართული ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების მრავალი სფეროსადმი. ეს პროცესი კიდევ უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც 1973 წლის მაისში საბჭოთა კავშირი შეუერთდა საავტორო უფლებების საკითხებზე ქენევის მსოფლიო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს.

ამით საუკეთესო პირობები შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობის გაორმავებისათვის, ქვეყნებს შორის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის უფრო ფართოდ გაცვლისათვის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების ურთიერთგაცნობისა და მსოფლიო ხალხებს შორის მეგობრობის მზარდი განმტკიცებისათვის, რასაც დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხზე ჰელსინკის თათბირის დოკუმენტებში.

როგორც ცნობილია, ამ მნიშვნელოვანი საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების საგენტო, რომელსაც მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად დაეკისრა უხელმძღვანელოს საბჭოთა ლიტერატურის, მეცნიერებისა თუ ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ნაწარმოებების ექსპორტისა და იმპორტის რთულ პროცესს. ასეთივე ორგანიზაცია არსებობს საქართველოში 1974 წლიდან.

საქართველოს სსრ საავტორო უფლებების საგენტოც ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე უშვებს საინფორმაციო ბიულეტენს „საქართველო — ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება“. ამზადებს შესაბამის მასალებს რესპუბლიკის კულტურულ-სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

თავის მხრივ ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია საქმიანად მონაწილეობს რეკლამისა და პროპაგანდის საკითხების მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

შეგვიძლია დავასახელოთ ქართველი მეცნიერების საყურადღებო შრომების თუნდაც ის ნაწილი, რომლებიც უკვე გამოიცა საზღვარგარეთის ქვეყნებში ან მზად არის გამოსაცემად, ან უკვე გავგზავნეთ და მათი მომზადებისათვის სათანადო მუშაობა მიმდინარეობს. სასიამოვნოა, რომ ყველა ეს ნაშრომი სულ ბოლო პერიოდს ეკუთვნის და რომ უცხოეთის ქვეყნებში სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ქართული სამამულო მეცნიერების თითქმის ყველა დარგისადმი.

ჰოლანდიის გამომცემლობა „ნოსპოლენდ ი კომპანმა“, რომელიც მსხვილი საგამომცემლო ცენტრია და ცნობილია უკვე „ჩრდილოეთ ჰოლანდიის სამეცნიერო გამომცემლობა“, ინგლისურ ენაზე გამოსცა აკადემიკოს ვ. კუპრაძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. გეგელიას, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების მ. ბაშელეიშვილისა და თ. ბურჭულაძის სქელტანიანი ნაშრომი „დრეკადობისა და თერმოდრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“. ეს წიგნი იმდენად სწრაფად გაყიდულა, რომ ჩვენს ოფიციალურ თხოვნაზე დამატებით შეგვეძინა ხუთიოდე ეგზემპლარი, ბოდიშით გვიპასუხეს და დაგვიმიეს, რომ თხოვნას შემდეგი გამოცემის დროს გაითვალისწინებდნენ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. წერეთლის „ასირიული ენის სახელმძღვანელო“, რომელმაც სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთსა და ინგლისში გამოიცა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორების, პროფესორების ვ. ცინცაძისა და რ. მეფისაშვილის გახმაურებული წიგნი „ძველი ქართული არქიტექტურა“. ამ ნაშრომით სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. წიგნის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ „ტემს ენდ ჰადსონის“ გენერალურმა დირექტორმა ვერნერ გუტმანმა ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში ყოფნისას გვითხრა: „ძველმა ქართულმა არქიტექტურამ“ ინგლისელი მკითხველის ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ მე მზად ვარ ძველი ქართული კულტურის საკითხებზე დაუყოვნებლივ გამოვცე 50 საავტორო ფორმის მოცულობის წიგნიო“.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოვიდა მექანიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. დაუშვილის მონოგრაფია „გვირაბების მოპირკეთების გაანგარიშება მატრიცული ფორმით“.

ჩეხოსლოვაკიაში სულ ახლახან გამოსცეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ბეგიაშვილის საინტერესო ნაშრომი „ფილოსოფია და პოეზია“. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პრობლემებით არაერთი ქვეყანა დაინტერესდა. პოლონეთის ცნობილი გამომცემლობა „ქსენქკა ი ვედზა“ გამოსცემს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. ნორაკიძის ფართო მოცულობის ნაშრომს „პიროვნების ხასიათის გამოკვლევის მეთოდები, საქმიანი მოლაპარაკება მიმდინარეობს აკადემიკოსების ა. ფრანგიშვილის, ა. ბოჟორიშვილისა და რ. ნათაძის, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების ნ. ჭავჭავაძის, შ. ნადირაშვილის და სხვათა აქტუალური მეცნიერული ნაშუშევრების უცხოთის ქვეყნებში გამოცემის თაობაზე.

ჩეხოსლოვაკიაში დაიბეჭდა აკადემიკოს გ. ჯიბლაძის შრომა „კომენსკის ფილოსოფია“. მისი გამოცემის მიზნით ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ბულგარეთის გამომცემლობები.

უნგრეთის გამომცემლობა „კორვინა“ გამოსცემს აკადემიკოს ვ. ბერიძის ნაშრომს „ფიროსმანი“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნის ალბომი „ლადო გუდიაშვილი“ ამ რამდენიმე წლის წინათ შესანიშნავად გამოსცა ამავე გამომცემლობამ. ალბომმა ფართო საზოგადოების მოწონება და აღიარება მოიპოვა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. იენის უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. ჩხიკვიშვილის მონოგრაფიას „ხალხი და კულტურა“.

სულ მალე მივიღებთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. რამიშვილის მონოგრაფიას „ენის შინაგანი ფორმა“, რომელსაც „ზოგადი ენათმეცნიერების ინტერნაციონალური სერიით“ მიუნჰენში გამოსცემს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამომცემლობა „ფინკ-ფერლაგი“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გ. რამიშვილის სხვა მონოგრაფიას „ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები“ მეტად მაღალი შეფასება მისცა ბონის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა კარლ ჰორსტ შმიდტმა. როგორც სსრ კავშირის საავტორო უფლებების კომიტეტიდან გვაცნობეს, ეს სტატიკა დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „კრატილოსში“ გამოქვეყნებულა.

ასევე მალე მივიღებთ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯ. ლომინაძის მონოგრაფიას „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“, რომელსაც გამოსცემს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა „პერგამონ პრესი“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამეცნიერო გამომცემლობები დაინტერესდნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. ბახუტაშვილის გამოკვლევით „ინტერფერონის მნიშვნელობა შინაგანი პერინტალური ინფექციის შემთხვევაში“. გერმანიიდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ მეცნიერის პრიორიტეტი ამ საკითხის კვლევისას თვალსაჩინოა და სპეციალისტთა გაზრდილ ინტერესს იწვევს.

ჰოლანდიის გამომცემლობა „სტენფოლტ კროსი“ გამოსცემს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. მოსიძის, ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატების რ. რიჟინაშვილის, რ. თოთიბაძის, ნ. ქევანიშვილის, ზ. აქბარდიას ერთობლივ საინტერესო ნაშრომს „გაყოფილი ტვინი“.

ინგლისში გაცნობისა და გამოცემის მიზნით მოითხოვეს ცნობილი საბჭოთა ფიზიკოსის, აკადემიკოს ე. ანდრონიკაშვილის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორების ი. მამალაძისა და დ. წაქაძის ერთობლივი შრომა „ზედაპირული ჰელიუმის ფიზიკა“.

ესპანეთში გამოიცემა აკადემიკოს შოთა ძიძიგურის საყურადღებო შრომები ქართულ-ბასკური ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე.

საბერძნეთში გაცნობისა და გამოკვლევის მიზნით გაიგზავნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ა. ალექსიძის უახლესი ნაშრომი „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო“ (XIII-XIV სს.), რომელმაც მოსკოვის წიგნის მეორე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე უცხოეთის სამეცნიერო წრეების ყურადღება მიიპყრო.

საბერძნეთშივე გაიგზავნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ რ. გორდეზიანის გამოკვლევა „ჰომეროსის ეპოსის პრობლემები“.

ცალკეული სამეცნიერო ნაშრომებისა და წიგნების გარდა, საზღვარგარეთ იგზავნება და იბეჭდება მრავალი სამეცნიერო სტატია, წლის მანძილზე ჩვენს ორგანიზაციაში აღირიცხება 150-მდე დასახელების საყურადღებო ნაშრომი. ისინი სხვადასხვა სოლიდური სამეცნიერო ჟურნალებსა თუ სამეცნიერო შრომებში იბეჭდება. შეიძლება დავასახელოთ თუნდაც რამდენიმე მათგანი:

ჰოლანდიაში გამოსაქვეყნებლად მოითხოვეს გამოჩენილი საბჭოთა ასტრონომის, საქართველო ს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ე. ხარაძის ნაშრომი „შედეგები ვარსკვლავთა სპექტრალური კლასიფიკაციის დროს“.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიგზავნა აკადემიკოს გ. ბერიძის გამოკვლევა „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა“.

აკადემიკოს გ. მელიქიშვილისა და პროფესორ გ. ჯიორგაძის ერთობლივი ნაშრომი „ხეთურ-ლიეთური კულტურულ-რელიგიური ტრადიციები ძველ ამიერკავკასიაში“ იბეჭდება ჩეხოსლოვაკიაში.

საფრანგეთში გამოსაქვეყნებლად მოითხოვეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ო. ჯაფარიძის საინტერესო გამოკვლევა „ამიერკავკასია III ათასწლეულში“.

ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი სამეცნიერო ჟურნალი „სტოუკი“ ბეჭდავს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. მჭედლიშვილის აქტუალურ მეცნიერულ ნაშრომს „ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაცია“.

ისრაელში, იერუსალიმის უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნდება ცნობილი ქართველი ფოლკლორისტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ჩიქვანის გამოკვლევა „ლიტერატურამდელი პერიოდის ქართული ფოლკლორი“.

სასიამოვნო ფაქტები და მაგალითები უამრავია. ამ მიმოხილვითი ხასიათის ჩამოთვლიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ გაფართოვდა გამოცემათა გეოგრაფია და რა მზარდ ყურადღებას იქცევს ქართველი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ნაშრომები უცხოთის ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკიდან მეცნიერული შრომების, წიგნების, ჟურნალების, სტატიებისა თუ ხელნაწერების საზღვარგარეთ გამოსაცემად გატანის საკითხების გადაწყვეტა დავალებული აქვს საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს. ეს ვრცელდება ლიტერატურაზეა და ხელოვნების ყველა ნაწარმოებზე. პირადი ინიციატივით საზღვარგარეთ მასალების გაგზავნა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება. საზღვარგარეთ გასაგზავნი ყველა მასალის რეგისტრაცია და გაფორმება უნდა მოხდეს საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ საგენტოში სათანადო წესების გათვალისწინებით.

ბოლო წლებში საქმიანობის მასშტაბური გადიდება საფუძვლად დაედო იმას, რომ საკავშირო ორგანოების ნამდვილი ნებართვა შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და ჩვენმა ორგანიზაციამ მაისში მიიღო დადგენილება ერთობლივი მუშაობის შესახებ. აქ გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა მაღალ დონეზე გადაჭრა, უეჭველია, დიდად შეუწყობს ხელს მოწინავე ქართული საბჭოთა მეცნიერების ფართო პროპაგანდასა და საერთაშორისო სარბიელზე გატანას.

ნ. წერეთელი,
საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს უფროსი.

სახალხო რევოლუციის წლისთავი

მოსკოვი. ერთი წლის წინათ ენომპენში კამპუჩიის ეროვნული სნნის ერთიანი ფრონტის დროშა აფრიალდა. მრავალტანჯული ხალხის წინაშე ისტორიის ნათელი ფურცელი გადაიშალა — მისი სამშობლო სახალხო რესპუბლიკა გახდა. კამპუჩიელი ხალხის გამარჯვების პირველ წლისთავს მიეძღვნა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირ-კამპუჩიის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. დვორიაკოვსკიმ.

„ამ დიდი ეროვნული ბრძოლა, — ამბობს ბ. ბ. ბ.

სიახლეთა პანორამა

მეცნიერის განსაკუთრებული დამსახურება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე კლასიკური არქეოლოგიის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის არჩეულია დასავლეთ გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრად.

გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი (ცენტრი — დასავლეთ ბერლინში) მსოფლიოს უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც თავის საზღვარგარეთელ წევრებად ირჩევს არქეოლოგიის, ძველი ისტორიის და კლასიკური ფილოლოგიის დარგის თვალსაჩინო მეცნიერებს.

ექიმთა თაოსნობით

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციერეკიძე), სოფელ ორპირში დიდი ხანია, რაც შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფო. იგი ტყიბულის ზონაში ერთ-ერთი დიდი სამკურნალო დაწესებულებაა. წლების მანძილზე საავადმყოფოს სასმელი წყალი არ ჰყოფნიდა.

საავადმყოფოს კოლექტივმა გადაწყვიტა საკუთარი ძალებით გაეყვანა წყალი. ამ კეთილშობილურ თაოსნობაში ექიმთა მთელი კოლექტივი ჩაება. ენთუზიასტებმა ოხომირის. მთიდან საავადმყოფომდე გაჭრეს 2,5 კილომეტრი სიგრძის თხრილი და შეფი ორგანიზაციის — ლენინის სახელობის შახტის დახმარებით ჩააწყვეს რკინის მილები.

მალე ორპირში, ონკანებიდან ანკარა წყაროს წყალი წამოვიდა. ახლა საავადმყოფო უზრუნველყოფილია სასმელი წყლით.

ბავშვთა ჯანმრთელობის სამსახურში

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). რაიონის სამედიცინო ქსელს შეემატა ბავშვთა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის შენობა, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე „გიგოს გორას“ წიწვნარში აშენდა. საავადმყოფო 120 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამინისტროს № 2 ტრესტის 139-ე მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ი. ბეჟუაშვილი) ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მშენებლობა ბავშვთა საერთაშორისო წლისათვის დაეგმთავრებინათ. ნამუშევარმა „ფრიადი“ შეფასება დაიმსახურა!

„ქურქები“ ციტრუსებისათვის

საქართველოს სუბტროპიკებში მოსალოდნელი ყინვების შესახებ სინოპტიკოსთა პროგნოზები სრულიადაც არ აწუხებს გაგრის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებს: საკმარისია ჩართონ გაზის გათბობის სისტემა, რომ ნაზ ლიმონის ხეებს ჰაერის თბილი ნაკადები საიმედოდ დაიცავენ.

საქართველოს სპეციალისტთა მიერ შემუშავებული გაზით გათბობის მეთოდი მატად ეფექტიანია.

მალე „გაზის ქურქებს“ გამოიყენებენ გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

ღირსეული მავალი

იგი, ვისი სახელიც სასიკეთოდ ნაღვაწ ადამიანთა შორის მოიხსენიება, სამი წლის წინ, დღეის დღეს, უეცრად დაეცა... დაეცა სასიკვდილოდ კაცი, რომელიც თავის გარშემო არავის არ იმეტებდა ტკივილისათვის, მით უფრო დაცემისათვის ან ნაქცევისათვის, და თუ მაინცდამაინც, თოვლში ნასაქცევად გაიმეტებდა მოყვასს...

... ზამთარი იყო, მაგრამ თვითონ თოვლში არ ნაქცეულა, ვეღარც იმის თქმა მოასწრო, — რა ეტკინა, რა ეწყინა, რამ მოუსწრაფა დღე თმაში ჭაღარა შეურეველსა და გულში სიკეთედაგუბებულს.

ასეთ კაცზე იტყოდნენ წინაპრები, — გულქართლიაო. გულქართლიც იყო და სიტყვაქართლიც, ანუ გულმართალი და სიტყვამართალიც...

აგერ მაგიდაზე მიდევს მისი ორი ბოლო წიგნი, — პირველი სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, მეორე კი სიკვდილის შემდეგ გამოსული: „ორი ამონაყარი ერთი ძირიდან“ და „შრიალი“; ამ წიგნებიდან მისი ხმა ისმის...

ოჯახის წევრთა და მეგობართა შემდეგ ალბათ ჩვენ, „ახკომელებმა“ ვიცოდით ყველაზე უკეთ მისი ხასიათი, მისი დაღვრემისა თუ სიხარულის მიზეზი, უცნაურობანი, რასაც გასაოცრად მომხიბლავი ღიმილით აქეთაც დაგვწამებდა ხოლმე და თავისებური ყარგონითაც გამოხატავდა, რომელიც იტევდა თანაგრძნობასაც, სიყვარულსაც, მოტევებასაც.

შეუძლებელია გოგი გელაშვილის დავიწყება მათგან, ვინც იცნობდა. თუმცა მის წიგნში ახლა თითქოს გამადიდებელი შუშით ამოვიკითხე ფრაზა, რომელიც მის გარშემო მყოფთ ესება. ...„მგონია, რომ მე იმ ადამიანების ხსოვნაში თანდათან წავიშლებიო“...

ახლახან ჟურნალისტთა კავშირში შევიტყვე: თურმე ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული ჟურნალისტების გიორგი გელაშვილისა და ოთარ ლორთქიფანიძის ხსოვნის საღამოს მოწყობა ჰქონიათ განზრახული.

...ვისაც მოგზაურობა იტაცებდა, ის ათმაგად სწამდა... გაჯიბრება უყვარდა, — აბა, აქა და აქ თუ ყოფილა, საქართველოს სიყვარულს რომ იჩემებსო...

ერთხელ სიტყვა ერთ-ერთ აღკვეთილზე ჩამოვარდა და საოცრად გაიკვირვა, არ გინახავსო? — არა-მეთქი. როგორ — იქ რომ შველი ჩაგივლის, იქ რომ ყვავილებს ნახავ, იქ რომ გადასახედია, მსგავსი სიამოვნება სად შეიძლება მიიღოო!

იქაც წავალ-მეთქი, — ღიმილით დავექადნე და გამახსენდა გიორგი შატბერაშვილის ასეთივე შეცხადება, — რკონი თუ არ გინახავს, მაშ საქართველო ვერ გიცვნიაო!

— ავედი!

აღკვეთილში კი, თიბათვეში, ჩვენი გოგი თვალწინ დამიდგა, თითქოს ცისფერი ალპური ყვავილები ხელში სანთლებივით დაეჭირა.

მის ნაწერებში სპორტის ტრფიალიც ჩანს, ყველა სახეობას თავისი თავგამოდებული ქომაგი ჰყავსო:

„სამაგიეროდ, შეიძლება ითქვას, ყველა ადამიანისათვის თითქმის სავალდებულოა თავისებური სპორტის ერთი სახეობა — მოგზაურობა“.

წასული, მით უფრო ადრე წასული შემოქმედის ნათქვამს, ნაწერს, ნახატს, ხორცშესხმულს, სრულიად სხვა, ანუ გასხვისებული თვალით ვუცქერით ხოლმე და უტყუარია ის შთაბეჭდილება, რომელიც მისი არყოფნის შემდეგ ყალიბდება — იგი ამაღლებული და განწმენდილია, ნაყოფი მისი შემოქმედის სულის სარკეა და მის იალკიალში ჩანს ბევრი რამ. ნაცნობიცა და ბევრიც ისეთი, რაც შემონახული აქვს ხოლმე ყოველ მწერალს მხოლოდ ქაღალდთან გასანდობად.

სულ მახსოვს, ერთი სასაფლაო მიხსენა, იქ ნანახი უსახელო საფლავი ჩარჩენოდა გულში ქარაგმული წარწერით: „ზღაპარ იყოო“... ჯერ ლეგენდად მივიღე... მერე ჩემი თვალით ვნახე ის ლაბრადოლის ობელისკიანი საფლავი.

დღეს კი ჩვენ მესამედ მივალთ საფლავთან, სადაც იმ კაცის ავტოგრაფს შევიცნობთ, რომელიც მართლაც ღირსეული მავალი იყო, რომლის სიყვარულიანი სიტყვები თითქოსდა ასომთავრულითაა გამოკვეთილი მისი წიგნის ბოლოში...

ნანა ღვინეფაძე.

მწყობრში ჩადგა



ახალი ბაზა



საქართველოს სსრ დოსააფის ორგანიზაციებში, რომლებშიც სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტს ათიათასობით კაცი ეუფლება, მომავალ მეომრებს აკაუებენ, უნირგავენ გამბედაობას, მამაცობას, შრომისადმი სიყვარულს, ტექნიკის ცოდნასა და მისი გამოყენების ჩვევებს. რესპუბლიკაში მასობრივად გავრცელდა ავტო, მოტო და რადიოსპორტი, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი, წყალჭომაოდობის სახეობანი. ნაყოფიერად მუშაობენ საზღვაოსნო და მსროლელთა კლუბები, სასამსახურო მეძებრების გაწვრთნის სექციები, ავტოსკოლები.

1979 წელს ოცზე მეტმა დოსააფელმა მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტში, ხოლო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის მზადების დროს საქართველოს თავდაცვითი საზოგადოების კიდევ 70 კაცი გახდა სპორტის ოსტატი.

ახალგაზრდებს შორის დიდად პოპულარულია საქართველოს სსრ დოსააფის ავტომოტოსპორტის საბავშვო სპორტულ-ტექნიკური სკოლა. სპორტსმენთა განკარგულებაშია ახალი ბაზა ქალაქ რუსთავის მახლობლად. იგი საგზატკეცილო-წრიული რბოლებისა და კროსების საერთაშორისო სტანდარტების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

სურათებზე: ვირაჟზე; ავტომრბოლები სტარტის წინ.

ბ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა სპეციალურად „კომუნისტისათვის“).

დანაშაულის კვალდაკვალ

შარშან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გაგაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ამ სახის დანაშაულისათვის სასჯელის ზომა რვა წლამდე გაიზარდა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გვაცნობეს, რომ ამ ბრძანებულების შემდეგ მანქანების გატაცებათა რიცხვი მართალია თანდათან კლებულობს, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ქურდები, რომლებიც იტაცებენ მანქანებს.

ერთი სიტყვით, ამ სახის დანაშაულთა აღსაკვეთად კვლავ საჭიროა უკიმპრომისო შეტევი ბრძოლა. სამინისტროს პრესცენტრში გვითხრეს, რომ დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობისაგან არავინ არ თავისუფლდება და ყველა პასუხს აგებს კანონის მთელი სიმკაცრით. როგორც მასალებიდან ჩანს, ტრანსპორტის გამტაცებლები უმთავრესად არასრულწლოვანნი და, საერთოდ, ახალგაზრდები არიან. ამიტომაც სწორედ აქ გვჭირდება საზოგადოებრიობის დახმარება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა არ დაადგეს მოლიპულ გზას, ბოროტებას ავაცილოთ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე აკეთონ. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ დანაშაულობანი მაინც ჯერ კიდევ ხშირია. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

შარშან, წლის დამდეგს თელავისა და ყვარლის რაიონებში გახშირდა ავტომანქანების ქურდობა. გარეწრებმა ორ თვეში მოახერხეს რამდენიმე „ჟიგულის“, რამდენიმე სატვირთო ავტომანქანისა და „მოსკვიჩის“ გატაცება. გამტაცებლები გ. კოსარევი, ა. ნინიკაშვილი (არსად არ მუშაობდნენ) და ვ. მამუკელაშვილი (თელავის რაიონის სანიტარიულ-ეპიდემიური სადგურის მძღოლი) მანქანათა პატრონებს წერილებს უგზავნიდნენ ფულის გამოძალვის მიზნით. თუ ამას ვერ აღწევდნენ, მანქანებს წვიდნენ, წყალში ჰყრიდნენ. მათ „სინდისზეა“ თბილისში, გორში, ხარკოვში ტაქსებისა და ეკრძო მფლობელობაში მყოფი მანქანების მძღოლებზე შეიარაღებული თავდასხმები ფულის წართმევის მიზნით. ამ ნაძირალებმა მოქალაქეებს 12047 მანეთი მატერიალური ზარალი მიაყენეს. მიღებული ზომების შედეგად თელავის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა ისინი ამხილეს, მათ კანონის მთელი სიმკაცრით მიიღეს სასჯელი. მაგრამ იბადება კანონიერი კითხვა: სად იყვნენ ვ. მამუკელაშვილის კარის მეზობლები, ახლობლები, რატომ არ ამჩნევდნენ, რომ ეს გარეწარი ხელთათმანივით იცვლიდა მანქანებს. ცხადია, ისინი აღმოჩნდნენ გულგრილობის ტყვეობაში, რომლის სამწუხარო მცნაა „რა ჩემი საქმეაო“.

გიორგი მანძულაშვილი თბილისში კომუნისტური შრომის ქუჩის № 46-ში ცხოვრობდა, მაგრამ შრომას ყოველნაირად არალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება იძიებს.

ერთ-ერთ ახსნა-განმარტებაში ეს გამოუსწორებელი ქურდი ციხეკაცად წერს: „ცოლთან მომიხდა უკმაყოფილება, ოჯახიდან წამოვედი, გაბოროტებული ვიყავი, მინდოდა ისევ სატატიმროში მოვხვედრილიყავი. ამ მიზნით გადავწყვიტე ავტომანქანის გატაცება“... აქვე დავძენთ, რომ ამ ბოროტმოქმედის ჯიბეში აღმოჩნდა დანა, ავტომანქანის სამი გასაღები. მართლაც რომ, კომენტარი ზედმეტია!

თელავი ა. მაისურაძე თბილისში ღამით ლესელიძის ქუჩაზე საკუთარი „ჟიგულით“ მიდიოდა. უცნობმა ქალაშვილმა შეაჩერა და წაყვანა სთხოვა ორთაჭალისაკენ. ამ „სტუმარმა“ გზაზე კიდევ ერთი „მგზავრი“ ჩაისვა... ცოტა ხნის შემდეგ ქალ-ვაჟმა ა. მაისურაძე საკუთარი მანქანიდან გადმოსვეს და მანქანა გაიტაცეს. ა. მაისურაძემ მომხდარი ამბავი იმავე ღამეს აცნობა კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. მალე დაიკავეს ნატო (ნანა) გიორგის ასული გაბუნია, რომელიც აბაშიდან ჩამოსულიყო „თეატრალურ ინსტიტუტში მოსაწყობად“. დიახ, ის აწყობდა მანქანების გატაცებას...

გაიმართა სასამართლო პროცესი. ნატომ მოიშველია დედა, დეიდაშვილები, დეიდა, ვითომ იმ დროს თბილისშიც არა ეყოფილვარო. როცა არ დაუჯერეს, ცრუ მოწმეებად მოიყვანა დალი შალვას ასული მაზმიშვილი და ნელი გიორგის ასული თარგამაძე. მათი სიცრუეც გამჟღავნდა. სასამართლომ ნ. გაბუნიას მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა და პირადი ქონების კონფისკაცია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე დაზარალებული ა. მაისურაძე შეეცადა დამნაშავე ნ. გაბუნიას გამართლებას — მის სასარგებლოდ სცადა ჩვენების შეცვლა. სასამართლომ ა. მაისურაძის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება, რაც პარტიის თელავის რაიკომს გაეგზავნა რეაგირებისათვის (ა. მაისურაძე სკკპ წევრია). სასამართლომ კერძო განჩინებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა ცრუმოწმეების დ. მაზმიშვილისა და ნ. თარგამაძის მიმართ და გამოძიებისათვის გადასცა კიროვის რაიპროკურატურას.

„საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის პრესცენტრში აგრეთვე გვაცნობეს, რომ „ცხელ კვლზე“ დააკავეს მანქანების გამტაცებლები: მიხეილ სამსონის ძე გოგოლაძე — თბილისის № 63 პოლიტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, რომელმაც გაიტაცა ჯ. მაღლაფერიძის ავტომანქანა, თემურ ანდრიას ძე ეღბაქიძე — გორის მუშა ახალგაზრდობის № 1 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი, რომელმაც მანქანა მოსტაცა გორის წისქვილკომბინატის მუშას ზ. მარტიაშვილს, ქ. ტყვარჩელიდან ვიანორ გრიგოლის ძე შინკოვა, ვ. არახამიას კუთვნილი ავტომანქანა რომ გაიტაცა.

აღსანიშნავია, რომ ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა გასული წლის 19 დეკემბერს ამხილეს 2000 მანეთის გამოძალვის ფაქტი, რომელიც გაკა გიგის ძე საგალელმა მოსთხოვა მის მიერ გატაცებული მანქანის პატრონს შ. ელიზბარაშვილს. გ. საგალელი საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მესამე კურსის სტუდენტია.

დღითი დღე სულ უფრო დაძაბული და მიზანმიმართული ხდება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს ორგანოების მუშაობა ავტომანქანების გატაცებელთა წინააღმდეგ. სამინისტროს ხელმძღვანელობა მთელი რიგ კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს დანაშაულის ოპერატიულად გამოვლენისა და აღკვეთისათვის. ოღონდ საჭიროა თვით მოქალაქეებმა, ვისაც ავტომანქანებს სტაცებენ, ფართო საზოგადოებრიობამ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დამნაშავეთა მხილება-გამოვლინებაში, ხელი არ გაუმართონ ავტომანქანების ქურდებს, ფულის გამოძალვის სხვადასხვა ხერხს რომ მიმართონ.

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

ერთდღიანი ანტრაქტი

რიგა. (8 იანვარი. „კომუნისტის“ სპეც კორ. ტელეფონით). ლატვიის დედაქალაქი ეს დღეებია დიდი ყალთბურთითაც ცხოვრობს. დღეს „დაუგვიას“ სპორტდარბაზი ისვენებს, რადგან გუნდებმა ერთდღიანი ანტრაქტი გამოაცხადეს. ეს „ფანჯარა“ [illegible] გამოიყენეს ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა, რომლებმაც [illegible] მატად საინტერესო პრესკონფერენცია გამართეს.

სპეციალისტთა საერთო აზრით ცსკას ყველაზელ ახლა 6-7 გუნდი იბრძვის თანაბარი სიძლიერით და თითოეული მატჩი განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩევა.

აი, რა თქვა ჩვენთან საუბარში კიევის არმიელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ბოფენარმა:

„7 იანვრის მატჩი თბილისის „დინამოსთან“ ჩვენი გუნდისათვის ცუდად წარიმართა. პირველი ტაიმი 13 ქულით წავაგეთ და არსებული სხვაობის შემცირებას ჩვენმა ყალთბურთელებმა მეორე ტაიმში დიდი ენერგია შეალიეს. დაღი დაგვასვა წინა დღით მახპინძლებთან გამართულმა არანაკლებ მძიმე შეხვედრამაც. მართალია, რიგელებს ბოლო წამებში ხელიდან გამოვტაცეთ გამარჯვება, მაგრამ ძალზე დავიღალეთ. გულთბილად მინდა მოვიხსენიო ქართველი ყალთბურთელები, განსაკუთრებით კი ვეტერანები. პირდაპირ მაოცებს საიდან აქვთ მათ ამდენი ენერგია“.

თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის ლ. მოსეშვილის აზრით, ჩვენმა გუნდმა კიეველთა წინააღმდეგ მიმდინარე ჩემპიონატში თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა. „განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ პირველი ტაიმი დაცვაში, რაშიც თავისი წვლილი შეიტანა ნ. ქორქიამ. სანამ იგი მოედანზე იყო, კიეველთა ლიდერი ა. სალნიკოვი, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ბრწყინავდა“.

რიგის ვეფის უფროსმა მწვრთნელმა ა. კრაულინშმა გვითხრა: „სიმართლე მოგახსენოთ, რიგის ტურის დაწყების წინ ვთვლიდი, რომ თბილისის ტურის მონაწილე გუნდები თავიანთი ძალით ჩამოუვარდებოდნენ „ტალინელებს“, მაგრამ ახლა პირველი სამი წრის მატჩებმა ეს მოსაზრება გამიქარწყლა. აქ ხომ თითქმის ყოველ მატჩში უკანასკნელ წუთებში წყდება შეხვედრის ბედი. ამასთანავე გუნდებმა უფრო დახვეწეს დაცვაში თამაში“.

ხვალ რიგის ტურის მეოთხე წრის მატჩები გაიმართება. თბილისის დინამოელები შეხვდებიან ლენინგრადის „სპარტაკს“.

ჯ. ხუხაშვილი,
გთავაზობთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას.

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	8	0	816-600	16
„დინამო“ (მ.)	6	2	852-762	14
„დინამო“ (თბ.)	6	2	708-699	14
„ჟალგირისი“	6	2	717-714	14
სკკ	5	3	808-788	13
„სპარტაკი“	4	4	676-646	12
„სტატიბა“	4	4	692-697	12
ვეფი	3	5	732-735	11
რტი	2	6	686-716	10
„სტროიტელი“	2	6	695-740	10
„კალევი“	1	7	625-691	9
„ლოკომოტ.“	1	7	663-844	9

დაძაბულ ბრძოლაში

რამდენიმე დღის მანძილზე თბილისში მიმდინარეობდა ჩოგბურთელთა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ქალებისა და ბიჭებს შორის (ზონალური შეხვედრები), რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი და მოსკოვის მეორე ნაკრებები, აგრეთვე ლატვიის და ლენინგრადის გუნდები. თითოეულ კოლექტივში ასპარეზობდნენ ოთხი ქალაქი და ოთხი გოგონა. პირველი და მეორე ადგილების ბედი გადაწყდა მოსკოვისა და საქართველოს გუნდების შეხვედრაში, რომელიც მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით — 6:5. მიუხედავად ამისა ფინალში თამაშის უფლება ორივე ნაკრებმა მოიპოვა. ფინალური ტურნირი მარტის თვეში გაიმართება ქალაქ სევერომორსკში.

ბ. ამირხანოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



9 იანვარი თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ანიმატურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — მულტიკლაციური ფილმი, 17.50 — მოსწავლეთათვის „მხიარული შეჯიბრება“ (ფ.), 18.30 — „ოლიქანი და ხილმძღვანელი“, 19.00 — „საკრავის ისტორია“ ჩელო, 19.45 — „ფლის მსოფლიონი“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ინონარკვეი, 20.40 — „ოქროპირი“ — საგრაფლიუმორისტული საგალეკვიზიო ჟურნალი (ფ.), 21.15 — „საახალწლო მილოდიები“ (ანმეორებები. ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია, 16.30 — განცხადებები (ფ.), 16.35 — კინოალმანახი „ვარსკვლავა“ № 26 (ფ.), 17.35 — მულტიკლაციური ფილმი, 17.45 — საბუთგრაფებისათვის — მანქანებისა და მექანიზმების თეორია, 18.30 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. საგზალვიზე ი ოდ. ჯუმენგური ფილმი „გამარჯვება, თანაგაოლო!“, 18.50 — მხატვრული ფილმი „ბანაკიდაზული სულები“. მეორე სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — მულტფილმი, 10.20 — „ბადაშელილი წიგნი“. მხატვრული ტელეფილმი, პირველი ფილმი, პირველი სერია, 11.35 — „ეზკარა — დაუჯერებელი. დამთავრების შემდეგ — „ახალი ამბები, 15.30 — „ახალი ამბები, 15.50 — მორდვეთის ასსრ 50-ე წლისთავის გამო. დოკუმენტური ტელეფილმი, 16.20 — „ეროშკა. ი. რიეიოსი, 17.00 — ფილმ-კონცერტი, 17.35 — „გამოგაკიხმაურეთ, პორნოსტიბო!, 18.05 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, 18.35 — საბავშვო ფილმი, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — დოკუმენტური ფილმი, 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „ბადაშელილი წიგნი“. პირველი ფილმი, მეორე სერია, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — მუსიკალური ეხოვრება. ტელეიურნალი. დამთავრების შემდეგ (23.35) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამით: 20.00 — მოცეკვურაკვეთა საერთაშორისო მაჯი: ნორვეგია — აშშ — სსრკ, 20.30 — მორდვეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „უმარინას“ კონცერტი, 21.00 — „ძილინებისა, ბაბარებო!“, 21.15 — „ალალბოლოლი“ — „ბანაკიდაზული სულები“, 21.55 — „ბანაკიდაზული“ — „ბანაკიდაზული“ — „ბანაკიდაზული“